სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

დირექტორის ბრძანება № 1

16 თებერვალი, 2024 წ.

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის 2019 წლის 20 სექტემბრის ბრძანება № 1-ში ცვლილების შეტანის თაობაზე

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის N148/2016 დადგენილებით დამტკიცებული თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის ,,ლ“ და ,,მ“ ქვეპუნქტების, მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო განყოფილებების ხელმძღვანელებისა და სამეცნიერო ინფორმაციის სექტორის გამგის მიერ წარმოდგენილი თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების პროექტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის 2019 წლის 20 სექტემბრის ბრძანება № 1-ში და სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები დამტკიცდეს ახალი რედაქციით ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

2. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (თსუ პერსონალის მართვის დეპარტამენტი, თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი);

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი ნინო ფარცვანია